| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ეზოში არის ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი, სადაც დამონტაჟებულია კალათბურთის ფარები, ფეხბურთის კარები და განათების საშუალებები. დახურული სპორტული დარბაზი შენობაში არ არის. ინტერვიურებისას დირექტორის მოვალეობის შემსრულებლმა აღნიშნა, რომ მომავლისთვის სკოლის ტერიტორიაზე მოიაზრება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დახურული ტიპის სპორტული დარბაზის მშენებლობა. ვიზიტის დროს ტენისის მაგიდა და სპორტული ინვენტარი განთავსებული იყო ბუფეტისთვის განკუთვნილ სივრცეში.<br>სკოლას გადაეცა შემდეგი სპორტული ინვენტარი: ფეხბურთისა და კალათბურთის ბურთები, ტენისის მაგიდა, ლახტი მრიცხველიანი, სავარჯიშო ლახტი, სავარჯიშო რგოლი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით<br>• სპორტული ინვენტარის მიღება-ჩაბარების აქტით-17-04-2022 |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში არის საბუნებისმეტყველო კაბინეტი, რომელიც ინტეგრირებულია საკლასო ოთახთან. ლაბორატორიას აქვს დამხმარე ოთახი სველი წერტილით-(10.06კვ.მ). ლაბორატორიაში დამონტაჟებულია სავენტილაციო სისტემა. სკოლას გადაეცა რეალურ-ვირტუალური ლაბორატორია. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით<br>• შენობის აზომვითი ნახაზი<br>• ლაბორატორიის მიღება-ჩაბარების აქტით-21/03/2022 |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი | სკოლაში არის სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო. კერძოდ, ნათელი საკლასო ოთახები, ელექტრო ენერგიის და |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მიმოხილვა და ანალიზი | წყლის მიწოდების უწყვეტი სისტემები. სკოლას აქვს წყლის რეზერვუარი. დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა, რომელიც ამ ეტაპზე მუშაობს დიზელზე.<br>სკოლაში არის სველი წერტილები: თანამშრომლებისთვის, გოგონების, ბიჭების და სსსმ პირებისთვის. მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სველი წერტილები 2-2 განყოფილებიანია. ყველა სველ წერტილში არის თბილი წყლით უზრუნველყოფილი ხელსაბანები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით<br>• კომუნალური გადასახადის გადახდის ქვითრები<br>• დიზელის სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება შპს ,,ვერუ“-02-03 17 იანვარი 2022 |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასკოლო ბიბლიოთეკა განთავსებულია დიდ და ნათელ ოთახში. ბიბლიოთეკის ერთი ნაწილში განთავსებულია 4 კომპიუტერი საგაკვეთილო პროცესისთვის. საბიბლიოთეკო საქმისთვის განკუთვნილია ცალკე კომპიუტერი. თაროებზე წიგნები განთავსებულია ანბანურად, ხოლო გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანეოლოები კლასების მიხედვით. მოსწავლეების და მასწავლებლების სახელმძღვანელოებით სკოლა უზრუნველყო წალკის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა. შემუშავებულია ბიბილიოთეკის დებულება. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნში აღრიცხულია 563 წიგნი. წიგნები, აგრეთვე აღირიცხება ელექტრონულად ექსელის ფაილში. მიმდინარეობს წიგნების საბიბლიოთეკო წესით დამუშავება. ყველა წიგნს აქვს აღრიცხვის ნომერი და ბეჭედი დასმული განსაზღვრულ ადგილზე. ბიბლიოთეკას აქვს წიგნის ფორმულარები და მკითხველის ბარათები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვაიერებით |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ბიბლიოთეკის დებულებით<br>• ჩუქების ხელშეკრულებით<br>• ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნით<br>• წალკის რესურსცენტრის უფროსის მიღება-ჩაბარების აქტით 24.01.2022 |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის. შენობის ერთი შესასვლელი ადაპტირებული პანდუსით. სსსმ პირისთვის განსაზღვრულია სველი წერტილი, ფართე შესასვლელით და საყრდენი მოაჯირებით. სკოლაში არის რესურს ოთახი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სკოლის საჭიროებისთვის განსაზღვრულია 5 კომპიუტერი, რომლებიც განთავსებულია ბიბლიოთეკაში. სკოლა უზრუნველყოფილი ინტერნეტმომსახურეობით. ყველა კომპიუტერი ჩართულია ქსელში და მუშაობს გამართულად.<br>საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს სკოლის ვებ- |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გვერდი http://www.kokhta.school.ge/, ელ.ფოსტა kokhta@mes.dov.ge<br>სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, შინაგანაწესი, დირექცია, გალერია, კონტაქტი. ვებ-გვერდის დიზაინში ჩაშენებულია შემდეგი ბლოკები: წიგნები, ღონისძიებები, პროექტები, გართობა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლია ვებ-გვერდით;<br>• ვიზუალური დათვალიერებით;<br>• კომპიუტერების მიღება-ჩაბარების აქტით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
| **ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ხანძარსწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს წესრიგის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების დებულება, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2-30 ბრძანებით-15/04/2022. აღნიშნული დებულებით განსაზრულია წესრიგის დაცვის და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების პროცედურები, პასუხისმგებელი პირები, მათი ვალდებულებები და მექანიზმები. დირექტორის ბრძანებით (2-27-15/04/2022) შექმნილია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და შტაბი, სადაც გაწერილია საგანგებო სიტუაციებში, მათ შორის ხანძრის დროს გასატარებელი ღონისძიებები და პრევენციის მიზნით დასახული ამოცანები. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზოგადი ინსტრუქციები გაწერილია სკოლის შინაგანაწესის 45 მუხლშიც.<br>ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მიზნით, შენობა აღჭურვილია თანამედროვე სახანძრო სისტემით: ცეცხლმაქრებით-5ცალი, კვამლის დეტექტორებით, სავენტილაციო სისტემით, განგაშის ღილაკებით, სათადარიგო გასასვლელებით. შენობაში ცეცხლმაქრები განთავსებულია საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ ადგილებში, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სადაც ასევე გამოკრულია ცეცხლმაქრის მოხმარების ინსტრუქცია. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• სკოლის შინაგანაწესით;<br>• წესრიგის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების დებულებით;<br>• საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმისა და შტაბის შექმნის ბრძანებით (2-27-15/04/2022). |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დერეფანში, თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულია 2 საევაკუაციო გეგმა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში შემუშავებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (2-28, 15/04/2021). აღნიშნული დოკუმენტში გაწერილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, პასუხისმგებელი პირი-ექთანი, აღნიშნული პოზიცია სკოლაში ვაკანტურია.<br>სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმაში, გაწერილია საგანგებო სიტუაციებში პირველადი სამედიცინო დახმარების გასატარებელი ღონისძიებები.<br>სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, სადაც განთავსებულია შემდეგი ინვენტარი: პაციენტის გასასინჯი ტახტი, სამედიცინო მაგიდა, კარადა მედიკამენტებითვის და ინსტრუმენტებისთვის, წნევის აპარატი, სათბურა რეზინის, დინამომეტრი, მაცივარი და სხვა საჭირო ინვენტარი. სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია ნიჟარითა და ონკანით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებით (2-28 15/04/2021);<br>• სამედიცინო ინვენტარის მიღება -ჩაბარების აქტით: 17/11/2021. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შინაგანაწესის 45 მუხლში გაწერილია უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესები საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად. სკოლას განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირები აღნიშნული წესის შესრულებაზე. შინაგანაწესის მე-40 მუხლით რეგულირდება მოსწავლეთა უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერების წესები და პირობები.<br>სკოლაში უსაფრთხოების და წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს ორი დარაჯი. სკოლის შენობასა და მომდებარე ტერიტორიაზე განთავსებულია ვიდეოკამერები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის შინაგანაწესით;<br>• საშტატო განრიგით. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი | სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დათვალიერება ხდება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მიმოხილვა და ანალიზი | ვიდეოკამერებით. სკოლის შენობის ვიდეოსათვალთვალო სისტემებით უზრუნველყოფა გათვალისწინებული იყო შენობის დაპროექტების დროს, რაც გულისხმობდა სკოლის მთავარ შესასვლელში 2 ვიდეოთვალის დამონტაჟებას და სათადარიგო გასასვლელების 1-1-ვიდეოკამერით აღჭრვას. ვიზუალური დათვალიერებით, აღნიშნული ვალდებულებები შესრულებულია. გარდა ამისა, სკოლამ დამატებით შენობის გარე პერიმეტრზე დაამონტაჟა 4 ვიდეოთვალი, ხოლო შიდა პერიმეტრზე--4 ვიდეოკამერა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• კამერების მიღება-ჩაბარების აქტით -24/01/2022;<br>• ინტერვიურება სკოლის დირექტორის მ.შ.-სთან.<br>• შპს ,,ჯავა"-სუსტი დენების პროექტით |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სსიპ-წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხტას საჯარო სკოლა, ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის (ბრ. №448 15/09/2005) ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" ბრძანების 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული საჯარო სკოლების წესდებით.<br>წესდებით განსაზღვრულია: ზოგადი დებულებები; სკოლის სტრუქტურა და მართვა; დისციპლინა და საჩივრის განხილვის წესი, სკოლის ქონება, დაფინანსება, ანგარიშგება და საბუღალტრო აღრიცხვა, სახელმწიფო კონტროლი; სკოლის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, სკოლის წესდებაში ცვლილებების შეტანის წესი და განსაკუთრებული დებულებანი.<br>შინაგანაწესი თავდაპირველად სკოლამ წარმოადგინა პროექტის სახით. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლას მიეცა რჩევა, რომ კონსულტაციები გაევლო შესაბამის რესურსცენტრთან და გაერკვია, რომ დირექტორს უფლება ჰქონდა დამტკიცებინა სკოლის შინაგანაწესი, მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში ჯერ არ იყო სამეურვეო საბჭო არჩეული (და ვერც იქნებოდა არჩეული). ამის საფუძველს იძლეოდა „ზოგადი განათლების კანონის“ 43-ე მუხლის, პირველი პუნქტის, ნ[2]) ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც <u>სკოლის დირექტორი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით სამეურვეო საბჭოს დათხოვნის, უფლებამოსილების შეწყვეტის ან უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის, აგრეთვე სამეურვეო საბჭოს ვერ არჩევის შემთხვევაში ასრულებს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ფუნქციებს.</u> კონსულტაციების შემდეგ სკოლამ დაამტკიცა შინაგანაწესი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულების მიერ (ბრ. 2-33 18/04/2022). შინაგანაწესი მოიცავს: ზოგად დებულებებს; სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, სამუშაო და დასვენების დროს; სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმებს და ფარგლებს; შრომითი ურთიერთობის წარმოშობას; შრომითი ურთიერთობის პირობებს; შვებულების ხანგრძლივობისა და მიცემის წესებს; შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა და საბოლოო ანგარიშსწორებას; დასაქმებულის წახალისების ფორმებს და დისციპლინური პასუხისმგებლობის წესებს; მოსწავლეების წახალისების ფორმებსა და დისციპლინური წარმოების თავისებურებებს; მატერიალურ პასუხისმგებლობას; მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის პირობებს; მოსწავლის ჩაცმულობის წესს; შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებულ ზოგად ინსტრუქციებს, განაცხადის/საჩივრის განხილვის წესს; ექსკურსიის ორგანიზებას და დასკვნით დებულებებს. შინაგანაწესს დანართის სახით აქვს, მოსწავლისა და ვიზიტორთა საშვის ბლანკები. შინაგანაწესი განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. გადმოგზავნილ შინაგანაწესში არ იყო გათვალისწინებული შრომის კოდექსის გარკვეულ მუხლებში შეტანილი ცვლილებები- (29/09/2020), კერძოდ შრომითი ხელშეკრულების შეჩერებასა და შეწყვეტის შესახებ; შვებულება ორსულობისა და მშობიარობის გამო, შვებულება ბავშვის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მოვლის გამო. არსებული უზუსტობა სკოლამ ვიზიტის დროს გაასწორა.<br>სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული ერთეულების მუშაობის მარეგულირებელი დოკუმენტები: საქმისწარმოების წესი, კათედრის დებულება, მშობელთან ურთიერთობის დებულება, ბიბლიოთეკის დებულობა. არსებული დოკუმენტები დამტკიცებული სკოლის დირექტორის მ/შ მიერ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის შინაგანაწესი;<br>• კათერდრის დებულება (*ბრN2-24. 11/03/2022 )*;<br>• საქმისწარმოების წესი( ბრ. №1 -18.01.2022);<br>• მშობლებთან ურთიერთობის დებულება (ბრ. 2-01-21/01/2022);<br>• ბიბლიოთეკის დებულება (ბრ. 2-02-21/01/2022); |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო და ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმები. სკოლის სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს 2021-2027 წლების სტრატეგიული განვითარების ექვსწლიან გეგმას, რომელიც სკოლის მისიიდან და სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარეობს. 2021-2027წწ გეგმით განსაზღვრულია სტრატეგიული პრიორიტეტები, ამოცანები და ქვემიზნები, მისაღწევი შედეგი, რისკები, პასუხისმგებელი პირები და ვადები.<br>სკოლის მთავარი სტრატეგიული მიზნებია:<br>✓ საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების გაძლიერება<br>✓ სწავლების ხარისხის ამაღლება<br>✓ უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა<br><br>სტრატეგიული გეგმა შემუშავდა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შესაძლებლობებისა და საფრთხეების (SWOT) ანალიზის საფუძველზე. სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტში აგრეთვე, გაწერილია კონკურენტთა ანალიზი და სტრატეგიული მიზნებისათვის მისაღწევი საჭირო რესურსები.<br>ვიზუალური დათვალიერებით ნათლად ჩანს რომ, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა. 6 წლიანი გეგმით განსაზღვრულია მატერიალური რესურსების მუდმივი განახლების და სრულყოფის აქტივობები, სკოლის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზნიდან გამომდენარე საბუნებისმეტყველო კაბინეტების მოწყობა/შევსება.<br>2021-2022 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს კონკრეტულ აქტივობებს, ახდენს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს განხორციელების ვადებს. ერთწლიანი გეგმით განსაზღცრულია აგრეთვე, სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, განვითარება და აღჭურვა. კერძოდ, სკოლის კეთილმოწყობა, არსებული მდგომარეობის შენარჩუნება და განვითარება, ლაბორატორიების, კომპიუტერული კლასის, სკოლის ახალი შენობის აღჭურვა ვიდეო-კამერებით, სკოლის ექიმის კაბინეტის აღჭურვა საჭირო ინვენტარით, ვიზუალური დათვალიერებით სკოლამ ეს აქტივობების გეგმის შესაბამისად განახორციელა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • 2021-2022 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა (ბრ.2-34 18/04/2022)<br>• 2021-2027 წლების სტრატეგიული გეგმა (ბრ. 2-35 18/04/2022)<br>• ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს ,,საქმისწარმოების ერთიანი წესი“, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მ/შ მიერ (ბრ.№ 1 18.01 2022). წინამდებარე წესი ვრცელდება სკოლის ყველა სახის დოკუმენტაციაზე (მათ შორის ელექტრონულზე).<br>საქმისწარმოების დროს სარეგისტრაციო ჟურნალებში ნუმერაციის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ათვლა იწყება ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში და მთავრდება წლის ბოლის. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია საქმეთამმართველი.<br>დოკუმენტბრუნვა მოიცავს სამი სახის დოკუმენტაციას:<br>ა) შემოსული დოკუმენტაცია;<br>ბ) გასული დოკუმენტაცია;<br>გ) შიდა დოკუმენტაცია<br>სკოლაში იწარმოება: საერთო და საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი, გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი. სკოლის ყველა აქტი და ოფიციალური წერილი ფორმდება სატიტულო ფურცელზე.<br>ვიზიტის დროს საქმისწარმოების ჟურნალები არ იყო დანომრილი, ზონარგაყრილი და დალუქული. სკოლის საქმეთამმართველმა გაითვალისწინა შენიშვნა და ვიზიტის დასრულებამდე უზრუნველყო საქმისწარმოების ჟურნალების შესაბამისი წესით დამუშავება. ამჟამად საქმისწარმოების ოთხივე ჟურნალი დანომრილია, ზონარგაყრილია, დამოწმებულია სკოლის ბეჭდით და დირექტორის მ/შ ხელმოწერით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი;<br>• საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი;<br>• შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი;<br>• გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი;<br>• საქმისწარმოებისერთიანი წესი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | |
| რჩევები: | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | |
| ხარვეზები: | |
| სტანდარტის შეფასება | ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული (შეთანხმების N5012-22-01-3754) საშტატო განრიგის მიხედვით ჰყავს საშტატო თანამშრომელთა ნუსხა, რომელიც შედგება 28 საშტატო ერთეულისაგან (დირექტორი 1, ბუღალტერი 1, საქმისმწარმოებელი 1, ბიბლიოთეკარი 1 და მასწავლებელი 24) და სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში მომუშავე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულებით დასაქმებული 7 თანამდებობა (სკოლის ექიმი 1, დარაჯი 2, დამლაგებელი 2, ცეცხლფარეში 2).<br>სკოლას შერჩეული ყავს ყველა თანამდებობისთვის შესაბამისი კანდიდატურა (გარდა სკოლის ექიმისა), მათთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც ძალაში შედის სკოლის მიერ ავტორიზაციის მოპოვების მომენტიდან.<br>რაც შეეხება სკოლის ექიმის საშტატო ერთეულს, წარუმატებელი შესარჩევი კონკურსის შემდეგ, სკოლამ ივარაუდა, რომ წარუმატებლობის მიზეზი სახელფასო განაკვეთი და რეგიონში ექიმთა კატეგორიის სიმცირეა, ამიტომ, რესურსცენტრთან კონსულტაციის შემდეგ, გადაწყვიტა, რომ მოცემულ პოზიციაზე ექიმი ჩაანაცვლოს ექთნით და გაგზავნილი აქვს შეცვლილი საშტატო განრიგი შესათანხმებლად სამინისტროში (N5012-22-02-4706) |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის საშტატო განრიგი;<br>• ინტერვიუ სკოლის დირექტორთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 24 |
| მოწვეული/მაძიებელი | 0/1 |
| პრაქტიკოსი მასწავლებლი | 0 /10 მასწავლებელი უსტატუსო |
| უფროსი მასწავლებლი | 8 |
| წამყვანი მასწავლებლი | 5 |
| მენტორის სტატუსი | 0 |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. მასწავლებელთაგან 13 აქვს წამყვანის ან უფროსის სტატუსი, 1 მასწავლებელი მაძიებელია და სკოლას განსაზღვრული ყავს ტუტორი. რაც შეეხება უსტატუსო მასწავლებლების 10 საშტატო ერთეულს, 2 საშტატო ერთეულს ითავსებს ერთი მასწავლებელი, რომელიც ქიმია ბიოლოგიას ასწავლის და რომელიც ამთავრებს 60-კრედიტიან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში (წარმოდგენილია ცნობა (MES 2 22 000004518ნნ 20.01.2022) და დამთავრების შემდეგ მიენიჭება უფროსი მასწავლებლის სტატუსი, ხოლო დანარჩენ 8 მასწავლებელთან გაფორმებულია ხელშეკრულება საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანების მე-13 მუხლის საფუძველზე, რომლის თანახმადაც 2023 წლის ბოლომდე მასწავლებლად მუშაობის დაწყების უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელმაც მუშაობის დაწყებიდან 2 წლის ვადაში უნდა გაიაროს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | პროგრამის დისტანციური კურსი. მიმდინარე წელს ყველა ამ პირობით აყვანილი მასწავლებელი დარეგისტრირებულია მასწავლებელთა კომპეტენციის დადასტურების გამოცდებზე.<br>მასწავლებელთა და ზოგადად თანამშრომელთა პირად საქმეებში ყველას არ აქვს ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის“. მხოლოდ 9 თანამშრომელს აქვს ცნობა მოტანილი. სკოლას მიეცა რცევა, რომ მოაწესრიგოს თანამშრომელთა პირადი საქმეები ამ მიმართულებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | მასწავლებელთა პირადი საქმეები;<br>Eschool - ის ბაზა; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შინაგანაწესით შემუშავებულია თანამშრომელთა (გარდა მასწავლებლისა) შერჩევის წესი, რომლის თანახმადაც თანამშრომელთა შერჩევა ხდება კანდიდატებთან დირექტორის გასაუბრების გზით. შინაგანაწესში ასევე მოცემულია მასწავლებელთა შერჩევის წესი. მასწავლებელთა შესარჩევად სკოლას დამტკიცებული აქვს კონკურსის ჩატარების წესი, რომელიც შეესაბამება შინაგანაწესს, რომელშიც გაწერილია მასწავლებელთა შერჩევის წესები, შიდა და ღია კონკურსის გამოცხადების პირობები, კონკურსის გამოცხადების საჯაროობის უზრუნველყოფის პირობები, კანდიდატისთვის წამოყენებული საკონკურსო პირობები და კანდიდატის მიერ წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი.<br>სკოლის შინაგანაწესში ასევე ასახულია შრომითი ურთიერთობის შეჩერებისა და შეწყვეტის პირობები.<br>შინაგანაწესი ასევე არეგულირებს თანამშრომელთა წახალისების ფორმებს, მათ შორისაა: მადლობის გამოცხადება, საპატიო სიგელით |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დაჯილდოვება, ფასიანი საჩუქრის გადაცემა, ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემა. დასაქმებულის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებულ იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. თანამშრომელთა წახალისების საკითხს წყვეტს სკოლის დირექტორი.<br>შინაგანაწესის 21-ე - 31-ე მუხლები მთლიანად ეთმობა დისციპლინური წარმოების წესს. მუხლებში დეტალურადაა აღწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და თვითოეულ გადაცდომის შესაბამისი დისციპლინური სახდელები, განმეორების შემთხვევაში გამკაცრებული სახდელის შესახებ, მათ შორის გასაჩივრებისა და დისციპლინური წარმოების სპეციალური წესის სესახებ.. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის შინაგანაწესი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალი„ზი | სკოლის თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. ხელშეკრულების შინაარსს წარმოადგენს: ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების საგანი; ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები; ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; სამუშაო ადგილი, სამუშაო დრო და დასვენების დრო; შრომის ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი; ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი; მხარეთა პასუხისმგებლობის წესი; ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა; პერსონალური მონაცემების დამუშავება, გამოყენება და გავრცელება; სხვა პირობები და მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები.<br>მასწავლებლებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია სტატუსის მითითებითა და სტატუსის შესაბამისი ფუნქციების |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | აღწერით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შრომითი ხელშეკრულებები;<br>• სკოლის საშტატო განრიგით |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის პედაგოგები ჩართულია მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში და ახორციელებენ შესაბამის აქტივობებს. ,,მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 25 მაისის #241 დადგენილების საფუძველზე, „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით გათვალისწინებული პროცესების ეფექტურად განხორციელების მიზნით სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ხარისხის ჯგუფის სამოქმედო პრინციპები და მიზნები, ჯგუფის შემადგენლობა, ჯგუფის წევრათა მოვალეობები, მასწავლებლების შეფასების ფორმები და პროფესიული განვითარების მიზნით დაგეგმილი აქტივობები გაწერილია მასწავლებელთა ხარისხის განვითერაბისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებაში, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანებით №2-25-15/04/2022<br>მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო აქტივობები გაწერილია სკოლის სამოქმედო გეგმაშიც.<br>პედაგოგების გარდა სკოლას ჰყავს სხვა სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლები, რომელთა პროფესიული განვითარების შესახებ სკოლას არ აქვს წარმოდგენილი ხედვები და მექანიზმები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ხარისხის განვითარების და პროფესიული განვითარების ჯგუფის დებულება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სოფელ კოხტის საჯარო სკოლა თანამედროვე სტანდარტებით აშენებულ შენობაში ფუნქციონირებს. სკოლის ინტერიერი პოზიტიურ და სასიამოვნო გარემოს ჰქმნის, აღჭურვილია დაცვისა და უსაფრთხოების სისტემებით, სკოლის ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია სსსმ პირისთვის, რაც უზრუნველყოფს სწავლის და განვითარების თანაბარ შესაძლებლობას.<br>ყველა სტრუქტურულ ერთეულისთვის გათვალისწინებულია სამუშაო ოთახები, სამასწავლებლო დიდ და ნათელ სივრცეშია განთავსებული და ინტერიერის დიზაინი თანამშრომლობით ატმოსფეროს ქმნის. სკოლის მიერ კონკურსის წესით შერჩეულია მაღალკვალიფიციური კადრები, პედაგოგები ემზადებიან სტატუსის ასამაღლებლად. თანამშრომლების ფუნქცია-მოვალეობები და უფლებები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით და გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით, რას ხელს უწყობს სასკოლო საზოგაოების თითოეულ წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას და პასუხისმგებლობის გადანაწილებას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით<br>• სკოლის შინაგანაწესით<br>• ინტერვიურებით სკოლის პედაგოგებთან და ადმინისტრაციასთან |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | |
| რჩევები: | 1. სკოლამ მოაწესრიგოს თანამშრომელთა პირადი საქმეები, კერძოდ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შეავსოს ცნობებით „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის“;<br>2. სკოლამ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გარდა თავის საქმიანობაში გაითვალისწინოს სხვა თანამშრომელთა პროფესიული განვითარებაც. |
| ხარვეზები: | |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

ქ. თბილისი. 02.05.2022.

(შევსების ადგილი) თარიღი
გვერდების რაოდენობა 40

40

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.